

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

მდ. ჭოროხზე ხელვაჩაური I და ხელვაჩაური II ჰესების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

18 ივლისი, 2013 წ.

პროექტის აღწერა

თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“ გეგმავს მდ. ჭოროხის ბოლო 21 კმ-იან მონაკვეთზე ზ.დ. 21 და 53 ნიშნულებს შორის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელებას. კასკადის შემადგენლობაში შედის კირნათის, ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესები. 2011 წელს შპს „აჭარ ენერჯი 2007“-მა საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოადგინა კირნათის, ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიში¹; 2012 წლის 4 იანვარს კი, გარემოს დაცვის სამინისტროსგან ამ პროექტის განხორციელებისთვის მოიპოვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა².

„აჭარ ენერჯი 2007“-ის თანახმად, კომპანიამ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, თუმცა, პროექტში შეიტანა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, ხელვაჩაური I ჰესის პროექტში მოხდა ტურბინების განთავსების დონეების დაწევა 1-1.5 მეტრით, ხელვაჩაური II ჰესის პროექტი კი, საერთოდ შეიცვალა და ნაცვლად კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა, იგეგმება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობა. პროექტში ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს შეცვლილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, გზმ ანგარიშის ხელახლა მომზადებას და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის ხელახლა გავლას. ამდენად, კომპანიამ მოამზადა ჰესების კასკადში შემავალი ხელვაჩაური I და II ჰესების მშენებლობის და ექსპლუატაციის (შეცვლილი) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში³. ამდენად, ამ დოკუმენტში წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები ხელვაჩაური I და II ჰესების განახლებული პროექტის გზმ ანგარიშზე.

ამჯერად წარმოდგენილი გზმ ანგარიშის თანახმად, ხელვაჩაური I ჰესის დადგმული სიმძლავრე 42 მგტ-დან იზრდება 48 მგტ-მდე, ხოლო ხელვაჩაური II ჰესის დადგმული სიმძლავრე მცირდება 36.38 მგტ-დან 28.93 მგტ-მდე. ისევე როგორც თავდაპირველ პროექტში, ხელვაჩაური I ჰესის პროექტი

¹ მწვანე ალტერნატივას შენიშვნები ამ პროექტზე ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე:

<http://greenalt.org/news/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%93-%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90/>

² გარემოს დაცვის სამინისტროსთვის წარდგენილი პროექტის გზმ ანგარიში ხელმისაწვდომია ორპუსის ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://www.aarhus.ge/index.php?page=60&lang=geo#%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98>

³ კომპანიამ ასევე ცალკე მოამზადა ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესების მშენებლობის პროექტის (პროექტში შეტანილი ცვლილებების) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ა.წ. 25 ივლისს დაგეგმა ამ პროექტის საჯარო განხილვა (იხ. განცხადება გაზეთში „24 საათი“: <http://24saati.ge/index.php/tenders/view/14327>)

ითვალისწინებს ზ. დ. 42.5 მ სიმაღლის რკინა-ბეტონის კაშხლის აშენებას; ხელვაჩაური II ჰესის პროექტი კი, თავდაპირველი პროექტისგან განსხვავებით, სრულად შეიცვალა. ამჟამად, ნაცვლად კალაპოტური ტიპის ჰესისა, რომელიც ითვალისწინებდა 32.5 მ სიმაღლის რკინაბეტონის კაშხლის მოწყობას, იგეგმება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს 1300 მეტრის სიგრძის სადერივაციო არხის მოწყობას.

გზმ ანგარიშის თანახმად, ხელვაჩაური I ჰესის პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ ექცევა სოფ. ერგეს სასაფლაო, საავტომობილო მაგისტრალის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობები და ხერთვისის ისტორიული ხიდის დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ბურჯი; მაშინ როდესაც, შეცვლილი პროექტის გამო, ხელვაჩაური II ჰესის პროექტის შემთხვევაში, მსგავსი ტიპის ზემოქმედებას ადგილი აღარ ექნება.

1. გზმ ანგარიშში არსებული შეცდომები

ანგარიშის 2.1 ქვეთავში „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ცხრილის სახით მოცემულია საქართველოს ის გარემოსდაცვითი კანონები, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში. აღნიშნულ ცხრილში მითითებულია:

- „მიღების წელი 1996 დაცული ტერიტორიების შესახებ (შესწ. 2003, 2004, 2005, 2006, 2007)“;
- „მიღების წელი 1999 საქართველოს ტყის კოდექსი (შესწ. 2000 2001, 2003, 2005, 2006)“

ამგვარად აღნიშვნა არ არის სწორი, თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნულ კანონებში კიდევ ბევრი ცვლილებაა შესული. შესაძლოა, ეს არ არის არსებითი, თუმცა, ზუსტად ეს შეცდომები წლიდან წლამდე მეორდება სხვადასხვა გზმ ანგარიშში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეულწილად, გრძელდება წინა ხელისუფლების დროს დამკვირდებული ტრადიცია, რომლის თანახმადაც, გზმ ფორმალურ, ბიუროკრატიულ პროცედურად იყო აღქმული და არა საქმიანობის განმახორციელებლისა და გადაწყვეტილების მიმღების დამხმარე ინსტრუმენტად.

ასევე, გზმ პროცესისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს შეცდომა, რომელიც წლიდან წლამდე გადადის ერთი გზმ ანგარიშიდან, მეორეში, კერძოდ, საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციებისა და მრავალმხრივი ხელშეკრულებების სიაში შეტანილია რატომღაც „ევროკავშირის დირექტივა ჰაბიტატების შესახებ (European Union Habitats Directives 1992).

თვალშისაცემია გზმ ანგარიშში 3.2.7.1.3 ქვეთავი „ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომა“, რომელიც სიტყვასიტყვით მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში (მაგ. შავი ზღვის ელექტროგადაცემის პროექტის, ლარსი ჰესის, ყაზბეგი ჰესის გზმ ანგარიშებში). ამასთანავე, ამ თავებში აღწერილი ეკო-კომპენსაციის მიდგომა არ არის გამოყენებული გზმ-ს შემდგომ ნაწილებში და არც ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში. როგორც წესი, სხვა გზმ ანგარიშების შემთხვევაშიც, არც პროექტის ავტორები იღებენ ვალდებულებას, რომ ეკო-კომპენსაციისათვის გამოიყენებენ ჰაბიტატ-ჰექტრულ მიდგომას და არც გარემოს დაცვის სამინისტრო მოითხოვს ამ მიდგომის გამოყენებას ნებართვის პირობებში. ეს ხარვეზი უკვე არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც „მსუბუქი“ დარღვევა.

საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების ჩამონათვალში (ქვეთავი 2.2), არ არის მოხსენიებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის N745

ბრძანება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“; შესაბამისად, გზმ ანგარიშის ავტორები არც ხელმძღვანელობენ ამ მნიშვნელოვანი აქტივით საქმიანობის დაგეგმვისას. ეს შეცდომა, რომელიც ასევე ხშირად მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში, უკვე არსებითი ხასიათისაა.

2. პროექტის საჭიროება

წარმოდგენილი პროექტის გზმ ანგარიშის 4.2 ქვეთავი ეძღვნება „არაქმედების ალტერნატივა (ნულოვანი)“. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია „მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტები, რომელთა რეალიზაცია არ მოხდება პროექტის განხორციელებლობის შემთხვევაში“, რის გამოც გაკეთებულია დასკვნა, რომ „პროექტის განხორციელება გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს გამოიწვევს, ვიდრე პროექტის არაქმედების ალტერნატივა, შესაბამისად, არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი მიუღებლად უნდა ჩაითვალოს“.

გაოცებას იწვევს ანგარიშში წარმოდგენილი პროექტის „მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტები“. ანგარიშის თანახმად, „პოზიტიური შედეგებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს რეგიონში მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი“. კერძოდ, „ადგილობრივი გადასახადების სახით ბიუჯეტში შევა მნიშვნელოვანი თანხები. აღსანიშნავია მაღალანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაღალი ალბათობა“. ანგარიშში მოცემულია ასევე კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელიც „დასაქმებულთა 5-10% შეიძლება იყოს სხვა რეგიონებიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მომსახურე პერსონლის დანარჩენი 90% კონკურსების გზით შეირჩევა ადგილობრივი მოსახლეობიდან“. ანგარიშის თანახმად, ასევე მოხდება „დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო მომსახურე ინფრასტრუქტურის განვითარება“ და ასევე ელექტროენერგიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქვეყნის ენერგოსისტემაში დამატებითი ელექტროენერგიის მიწოდება.

პროექტის სარგებლიანობასთან დაკავშირებით გზმ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ძალზე ზოგადი და ხშირ შემთხვევაში, არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, კერძოდ:

2.1 დამატებითი შემოსავლები ბიუჯეტში

ანგარიშის ავტორების მტკიცებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მოხდება ადგილობრივი გადასახადების სახით ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხების შეტანა, თუმცა, არ არის დაზუსტებული მაინც რომელ ადგილობრივ გადასახადებს გულისხმობენ ანგარიშის ავტორები და ზოგადად, რა ოდენობა იგულისხმება „მნიშვნელოვან თანხებში“.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, ინვესტორი გადაიხდის მხოლოდ ქონების გადასახადს (საბალანსო ღირებულების 1%-ს) ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც მნიშვნელოვან თანხად არ შეიძლება ჩაითვალოს. იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული პროექტების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია საექსპორტოდაა გამიზნული, ხოლო ექსპორტი 0%-იანი განაკვეთით იბეგრება, ქვეყანა ვერც ელექტროენერგიის ექსპორტით მიიღებს სარგებელს. ინვესტორთან გაფორმებული მემორანდუმი არ ითვალისწინებს ასევე რაიმე სახის ბონუსს ან როიალტის. შესაბამისად, გაურკვეველია, რას გულისხმობენ ანგარიშის ავტორები ბიუჯეტში შესატან მნიშვნელოვან შემოსავლებში.

2.2 სამუშაო ადგილების შექმნა

მიუხედავად ანგარიშის ავტორების მტკიცებისა, რომ ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში მოხდება დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და მომსახურე პერსონალის

90%-ის შერჩევა მოხდება ადგილობრივი მოსახლეობიდან, სამწუხაროდ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სინამდვილეს არ წარმოადგენს. არათუ დასაქმებულთა 90%-ის შერჩევა არ მომხდარა ადგილობრივი მოსახლეობიდან, არამედ დღეის მდგომარეობით, პრაქტიკულად, ერთეულების გარდა, მიმდინარე სამუშაოებზე ძირითადად დასაქმებულნი არიან თურქეთის მოქალაქეები. აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი შეშფოთება ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოხატა 20 ივნისის კირნათი ჰესის პროექტთან დაკავშირებით გამართულ საჯარო განხილვაზე, რაზეც ინვესტორს პასუხი არ გაუცია. შესაბამისად, არსებულ რეალობაში, დასაქმება საერთოდ არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტი.

2.3 ინფრასტრუქტურის განვითარება

ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელება გამოიწვევს „დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო მომსახურე ინფრასტრუქტურის განვითარებას“, რაც არსებული რეალობის გათვალისწინებით, არ შეესაბამება სინამდვილეს. მიუხედავად მიმდინარე მშენებლობებისა, რაიმე ისეთი დამატებითი მომსახურე ინფრასტრუქტურა რეგიონში არ შექმნილა, რომელიც შეიძლებოდა განხილულიყო როგორც პროექტის მნიშვნელოვანი სარგებელი. პირიქით, ინვესტორის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი თურქეთიდან ნაცრის შემოტანასთან დაკავშირებით (რომლის გამოყენება იგეგმება ცემენტის წარმოებაში), არათუ არ უწყობს ხელს მომსახურე ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ, პირიქით, დამატებით ქმნის დაბრკოლებებს ადგილობრივი წარმოებისთვის.

2.4 ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ანგარიშში განხილულია როგორც პროექტის სარგებელი, უკავშირდება ქვეყნის ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის მიწოდებას. აღნიშნული საკითხი შეიძლება განხილულიყო მნიშვნელოვან სარგებლად, თუ მემორანდუმში გათვალისწინებული იქნებოდა ელექტროენერგიის შეღავათიან ტარიფად მიწოდების საკითხები, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გარკვეული ნაწილის უფასოდ მიწოდების საკითხი და ა.შ. სამწუხაროდ, არსებული მემორანდუმის თანახმად, ქვეყნის ენერგოსისტემა აღნიშნული ჰესებიდან მიიღებს მხოლოდ მთლიანი გამომუშავებული ელექტროენერგიის 20%-ს ექვსი თვის განმავლობაში, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება პროექტის მნიშვნელოვან დადებით ასპექტად.

2.5 დასკვნა

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს „დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას“. პროექტის ეკონომიკური სარგებელი, იმდენად ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია ჩაითვალოს რეალურ არგუმენტად პროექტის სასარგებლოდ.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ანგარიშში გაკეთებული დასკვნა, რომ პროექტი მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება რეგიონისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს და შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება შეუძლებელია, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს. ამასთანავე, არ არის განხილული და დათვლილი ის ზიანი, რომელიც მიადგება სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებს პროექტების განხორციელების შედეგად (უზრუნველყოფი სერვისები: სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება, თევზი, ტყის მე რქნული და არამერქნული რესურსები და სხვ. მარეგულირებელი რესურსები - განსაკუთრებით ზღვის სანაპიროს მომარაგება ნატანით; ჰაბიტატის სერვისები - თევზების მიგრაცია და ა.შ).

3. ალტერნატივების ანალიზი

გზმ ანგარიშის მე-4 თავი ეძღვნება დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების განხილვას. აქ განხილულია ინფრასტრუქტურის ობიექტების განლაგების ალტერნატივები, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ხელვაჩაური II ჰესის საპროექტო გადაწყვეტაზე.

ანგარიშის თანახმად, ხელვაჩაური II-ის საპროექტო დიზაინი აბსოლუტურად შეიცვალა და ნაცვლად კალაპოტური ტიპის ჰესისა, იგეგმება დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობა. ანგარიშის ავტორების მტკიცებით, „*მიუხედავად ენერგეტიკული თვალსაზრისით პროექტის ნაკლებად მიმზიდველობისა*“ გადაწყვეტილების მიღება მოხდა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტის სასარგებლოდ, რაც უდაოდ მისასაღებელი ფაქტია.

სამწუხაროდ, მსგავსი მიდგომით გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ხელვაჩაური I-ის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ხელვაჩაური I-ის პროექტის ალტერნატივები საერთოდ არ არის განხილული ანგარიშში, რაც დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს.

4. გარემოზე ზემოქმედება

4.1 ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე

გზმ ანგარიშის 6.12 ქვეთავში განხილულია პროექტის ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. ანგარიშის თანახმად, 2015 წლისთვის, თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების გამო, 83%-ით შემცირდება მდ. ჭოროხის საშუალებით ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში. შესაბამისად, გაკეთებულია დაშვება, რომ დამატებითი კაშხლების მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას. გზმ ანგარიშის 6.12.1 ქვეთავში კი, გაკეთებულია დასკვნა, რომ „*ადლიაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად რეაბილიტირებული პლაჟი მოცემულ პარამეტრებში უზრუნველყოფს შტორმული ტალღების ენერჯის სრულ დისიპაციას და შესაბამისად, სანაპირო ზონაში გაშენებული ახალი ბულვარის შენარჩუნებას მიუხედავად იმისა განხორციელდება, თუ არა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ჰესების მშენებლობა მდ. ჭოროხზე ან მის შენაკადებზე*“.

გაურკვეველია, რის საფუძველზეა გაკეთებული ეს დასკვნა, როდესაც არანაირი კვლევა ამ საკითხის შესასწავლად არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები 2007 წელს ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ (The Netherlands Commission for Environmental Assessment) გაკეთებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის წინასწარი ტექნიკურ ეკონომიკური შეფასება და ის რეკომენდაციები, რომელიც დაკავშირებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შესწავლის ჩატარების აუცილებლობასთან. აღნიშნული კვლევის თანახმად, ექსპერტების მიერ დროებითი ღონისძიების სახით განისაზღვრა ერთი წლის განმავლობაში ადლიის სანაპიროს 2000 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე 100,000 კუბ. მ მოცულობის ჩაყრების განხორციელება, სანამ არ მოინახება პრობლემის უფრო მდგრადი გადაწყვეტა.

სამწუხაროდ, აღნიშნულმა „დროებითმა“ ღონისძიებამ არამარტო რეგულარული სახე მიიღო, არამედ მოცემული გზმ ანგარიშის მიხედვით, ეს ღონისძიებები მიჩნეულია საუკეთესო გამოსავლად შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფისათვის, ყოველგვარი დამატებითი შესწავლების ჩატარების გარეშე. ამასთან, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ფიზიკურად მარაგების არარსებობის გამო, უკვე წელს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სანაპირო ზოლში მსგავსი ღონისძიებების განხორციელების საკითხი. შესაბამისად, ანგარიშში გაკეთებული დასკვნა წარმოადგენს მხოლოდ

ილუზიის შექმნის მცდელობას თითქოს მდ. ჭოროხზე და მის შენაკადებზე დაგეგმილი ჰესების დამატებითი ზემოქმედება უმნიშვნელოა.

უფრო მეტიც, ანგარიშის ავტორების მიერ გაკეთებული დასკვნები, რომ „რეაბილიტირებული პლაჟი მოცემულ პარამეტრებში უზრუნველყოფს შტორმული ტალღების ენერჯის სრულ დისიპაციას“ წინააღმდეგობაში მოდის ბათუმში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებთან, კერძოდ ა.წ. 24 მარტს ბათუმს თავს დაატყდა 6-ბალიანი შტორმი, რომლის შედეგადაც დაიტბორა ბათუმის ქუჩები და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, დაზიანდა ახალი ბულვარი და ქალაქს მიაღდა მილიონობით დოლარის ზარალი. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე.

შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის ნატანის შეწყვეტით მიყენებული ზიანისა და მისი აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო ფინანსურ უზრუნველყოფის საკითხი, კიდევ ერთია იმ საკითხთა შორის, რომელიც არ არის ნათლად წარმოჩენილი გზშ ანგარიშში. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი პროექტების გამო, კიდევ უფრო გააქტიურდება შავი ზღვის სანაპიროს წარცხვის ხარისხი.

4.2 ზემოქმედება იქთიოფაუნაზე

გზშ ანგარიშის 3.2.7.3.2 ქვეთავში განხილულია მდინარე ჭოროხის იქთიოფაუნის შემადგენლობა. ანგარიშის თანახმად, ჭოროხის აუზში მუდმივად ბინადრობენ და სატოვედ შედიან ისეთი ძვირფასი სახეობის თევზები, როგორცაა ნაკადულის კალმახი, შავი ზღვის ორაგული, კოლხური ხრამული, ანატოლიური ხრამული, კოლხური წვერა. მდინარე ჭოროხში ასევე ბინადრობს საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მექვიშია ღორჯოც.

ანგარიშის 6.8.4 ქვეთავი ეძღვნება პროექტის ზემოქმედებას იქთიოფაუნაზე და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს. გზშ დოკუმენტში ძირითადად ყურადღება ექცევა რატომღაც მხოლოდ შავი ზღვის ორაგულს და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ბუნდოვან შემარბილებელ ღონისძიებებს და არაფერია ნათქვამი, თუ რა გავლენა ექნება და რა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო მდინარე ჭოროხში მობინადრე ნაკადულის კალმახის, კოლხური ხრამულისა და მდინარის იქთიოფაუნის სხვა სახეობების შენარჩუნებისთვის და შესაბამისად, როგორ აპირებს პროექტის განმახორციელებელი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ კანონის დაცვას.

ანგარიშის 6.8.4.4.4 ქვეთავში განხილულია „მხარდამჭერი სისტემის“ შექმნის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, ხელოვნური აღწარმოების საწარმოს შექმნას მდ. მაჭახელაზე შავი ზღვის ორაგულის სახეობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ თევზსავალების მონიტორინგმა გამოავლინა ამ ღონისძიების არაეფექტურობა. ჩვენი აზრით, პირველ რიგში, გაუგებარია, სად აპირებს კომპანია აღნიშნული საწარმოს მოწყობას მდ. მაჭახელაზე, ვინაიდან როგორც აჭარისწყლის კასკადის გზშ ანგარიშიდან გახდა ცნობილი, მაჭახელაზე დაგეგმილია დაცული ტერიტორიის გაფართოება და მდინარე მაჭახელაზე დაცული ტერიტორიის ფარგლებში შევა. მეორე საკითხია ამ საწარმოს საკუთრების საკითხი - არ არის ნათელი, საწარმო იქნება კომპანიის საკუთრებაში თუ გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას, თუ თევზს უზრალოდ წყალში გაუშვებენ. გაურკვეველია, რა ფუნქციის და რის საკომპენსაციოდ შეიქმნება აღნიშნული საწარმო. სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს ეფექტიანი აღწარმოების საწარმოების მაგალითები, რისი ნათელი მაგალითია გეგუთის ზუთხსაშენი იმერეთში, რომელიც ვარციხე-ჰესით გამოწვეული ზეგავლენის შესარბილებლად მოეწყო. შესაბამისად, ანგარიშში მხოლოდ ჩანაწერის არსებობა, აღწარმოების საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადო შემარბილებელ ღონისძიებად.

5. სოციალური ზემოქმედება

5.1 პროექტით გამოწვეული ეკონომიკური განსახლება

გზმ ანგარიშის 6.14.2.3 ქვეთავის თანახმად, „კომპანია მოამზადებს განსახლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაჩერებული იქნება ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების კონკრეტული ღონისძიებები“. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ ინვესტორს დღემდე არ მოუზადებია განსახლების სამოქმედო გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ კასკადის მშენებლობა (ხელვაჩაური 1 და 2) წელიწადზე მეტია მიმდინარეობს. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კომპანია არც ამჯერად მოამზადებს განსახლების სამოქმედო გეგმას და მომზადების შემთხვევაშიც, გეგმას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

ანგარიშის თანახმად, „მოსახლეობის ქონების და მიწის ნაკვეთების დაკარგვით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა მოხდება თითოეულ კონკრეტულ პირთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. საკომპენსაციო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ადგილობრივი საბაზრო ფასების გათვალისწინებით“.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი ეწინააღმდეგება გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა და რომლის თანახმად, „განსახლებისა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული აქტივების შეძენის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის სანაცვლო ღირებულების კომპენსაციის შეთავაზება, რაც გამოიანგარიშება როგორც აქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული განსახლებისა და გარიგებების ხარჯები“.

გარდა ამისა, გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი დიდი კამპიების პროექტების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის საკითხს განიხილავს ზოგად კომენტარში N7 – „ადექვატური საცხოვრისი“ და ზოგად კომენტარში N15 – „უფლება წყალზე“. ორივე მათგანი პასუხობს პაქტის მე-11 მუხლს საცხოვრისის ადექვატურ სტანდარტზე. დამატებით, ადექვატური საცხოვრისის სპეციალურმა რაპორტერმა, მილონ კოტარმა, შეიმუშავა განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, რომელიც ასახავს ადექვატური საცხოვრისის უფლებას, როგორც ადექვატური საცხოვრებელი სტანდარტისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას ამ კონტექსტში (E.CN.4/2006/41).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროექტის განმახორციელებელი დაზარალებულად მიიჩნევა მხოლოდ მათ, ვინც უშუალოდ საპროექტო ზონაში ხვდებიან და არ განიხილავს მათ, ვისაც ეზღუდებათ იმ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რომელზეც ისინი სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებული.

ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი ეწინააღმდეგება როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ერგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკებსაც: განვითარების პროექტების გამო იძულებითი გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების თანახმად, გადასახლებისას, ადამიანებს აქვთ უფლება უკეთეს ან მსგავს ალტერნატიულ მიწაზე და ადექვატურ საცხოვრისზე, რომელიც მოიცავს ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებების არსებობასაც (შრომის, ინფრასტრუქტურას და სხვა საშუალებები), რაც წარმოდგენილი პრინციპის (ადგილობრივი საბაზრო ღირებულება) თანახმად შეუძლებელია.

ამასთან, მიწისთვის კომპენსაცია უნდა იყოს პრიორიტეტი. გადასახლება არ უნდა დაიწყოს გადასახლების გეგმის მომზადებამდე, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც კომიტეტის მიერ დადგენილ პრინციპებთან, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის

უფლებებთან, მათ შორის, დაზარალებული ჯგუფებისა და თემების უფლებასთან, გამოიყენონ სრული და წინასწარ ინფორმირებული თანხმობის უფლება (free, prior and informed consent) გადასახლებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება როგორც გაერო-ს, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების იძულებითი განსახლების პრინციპებს და შესაბამისად, მსგავსი სახით პროექტის განხორციელება გამოიწვევს სერიოზულ უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე.

5.2 დასაქმება

გზმ ანგარიშის მიხედვით, თითოეული ჰესის მშენებლობაზე დასაქმდება 150 კაცი (3-3,5 წელი), ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 20 კაცი, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მუშახელის დასაქმებაზე. სამწუხაროდ, პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა ვალდებულება აქვს ინვესტორს აღებული ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კუთხით. შედეგად კი, დღეის მდგომარეობით, პრაქტიკულად ერთეულების გარდა, მიმდინარე სამუშაოებზე ძირითადად დასაქმებულნი არიან თურქეთის მოქალაქეები, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობის ხსენება გზმ ანგარიშში სხვა არაფერია, თუ არა ცრუ დაპირება და პროექტიდან მიღებული სარგებლის გადაჭარბებული შეფასება.

6. დასკვნა

წარმოდგენილი სახით პროექტის დამტკიცება და განხორციელება შეუქცევად ზიანს მიაყენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, რეგიონის ლანდშაფტურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ამასთანავე, გამოიწვევს საქართველოს მიერ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის, ევროპის ლანდშაფტების კონვენციისა და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის უხეშ დარღვევას.